ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01172833650**

თარიღი: **10.10.2017**

ადრესატი:
ალექსანდრე კვირკველია
პირადი ნომერი: 62001016420
მისამართი: სოხუმი ნ.გოგოლის ქ. N 59

ბატონო ალექსანდრე,

სამსახურში შემოსული თქვენი N19/01172421132-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ნუცუბიძის ქუჩასა და ინტენსიფიკაციის გზას შორის, ნაკვეთი 01/295 (საკადასტრო კოდი N01.14.15.001.300) 2017 წლის 13 ივნისს N3317707 (AR1495922) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლის მიზნით სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალისწინებით:

ფასადი „3-1": +0,00 ნიშნულზე შეცვლილია ალუმინის ვიტრაჟების ფერი.

გეგმა -8,10 ნიშნულზე: „ე-ე" ღერძზე „3-3" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია კოლონა. „3-3" ღერძზე „დ-ე" მონაკვეთში კედელში დამატებით მოწყობილია ღიობი.

გეგმა -4,20 ნიშნულზე და +0,00 ნიშნულზე: „3-3" ღერძის გარეთ და „დ-გ" მონაკვეთში კიბის ღიობების ნაცვლად მოწყობილია სართულშუა გადახურვის ფილები.

გეგმა -4,20 ნიშნულზე: „3-3" ღერძზე „გ-დ" მონაკვეთში მინაბლოკისთვის განკუთვნილ ღიობს მონაცვლებული აქვს ადგილი. „3-3" ღერძზე „დ-ე" მონაკვეთში კედელში დამატებით მოწყობილია ღიობი. „დ-გ" და „1-2" მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია რიგელები. "გ-გ" ღერძზე შეცვლილია კოლონების ფორმა და გაბარიტები.

გეგმა +0,00 ნიშნულზე: „ე-ე" ღერძის გარეთ გაზრდილია აივნის გაბარიტი. „ე-ე" ღერძზე „3-3" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია კარი და ვიტრაჟი. „3-3" ღერძზე „გ-დ" მონაკვეთში კედელში დამატებით მოწყობილია ღიობი. „3-3" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია კიბე, ბაქანი და ბეტონის საფარი, რომლებიც სცდება საკადასტრო ხაზებს.

გეგმა +3,30 ნიშნულზე: „ე-ე" ღერძის გარეთ საპროექტო აივნებს შორის დამატებით მოწყობილია მონოლითური ფილა.

გეგმა +6,60 ნიშნულიდან: „ე-ე" ღერძის გარეთ „2-1" მონაკვეთში შეცვლილია აივნების გაბარიტები.

გეგმა +26,40 ნიშნულზე: „2-3" მონაკვეთში „დ-დ" ღერძზე დამატებით მოწყობილია კოლონა, იგივე მონაკვეთში „ე-ე" ღერძზე გაზრდილია კოლონის გაბარიტი.

გეგმა +29,70 ნიშნულზე: გაზრდილია ლიფტის სამანქანოსა და სართულის სიმაღლე. შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა.

დამატებით განგიმარტავთ, რომ ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ,,რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება".

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე